საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 102

ქ. ბათუმი 18 ნოემბერი, 2016 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ასოცირებულ პროფესორ ნანა ცეცხლაძის, როგორც ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

„ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრთა იმ 1/3-ის (სამი წევრის) წილისყრით გამოვლენის თაობაზე, რომელთაც აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ უწყდებათ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის სტატუსი“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის №147 დადგენილების თანახმად, უფლებამოსილების ვადა შეუწყდა აკადემიური საბჭოს წევრს, პროფ. მარინა არუშიძეს, რომელიც ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრად არჩეული იყო 2014 წლის 13 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად. ამ არჩევნებში პროფესორ მარინა არუშიძის გარდა მონაწილეობდა ასოცირებული პროფესორი ნანა ცეცხლაძე, რომელმაც როტაციის წესის გათვალისწინებით უნდა მოიპოვოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის, 25-ე, 35-ე და 36-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის, აკადემიური საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის №147 დადგენილებისა და საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№3, 13.11.2014) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცნობილის იქნეს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის, ასოცირებულ პროფესორ ნანა ცეცხლაძის უფლებამოსილება 2014 წლის 13 ნოემბერს არჩეული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადით (2018 წლის 13 ნოემბრამდე).

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**